თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. თელავი 01.10.2020 წელი

თავმჯდომარეობდა: **დავით გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი; ლევან მრელაშვილი; ზურაბ მუსაევი; ალექსანდრე შათირიშვილი; ნანა ხვისტანი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები - **დავით ღაღანიძე; მაია მარკოზაშვილი; ლევან კოჭლოშვილი; არჩილი თვალიაშვილი; ზაქარია გრიშიკაშვილი; ვასილ არაბული; ლევანი ლილუაშვილი; ალექსი ძულიაშვილი.** ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - **სოფიო ოხანაშვილი;** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **მედეა ჩაფურიშვილი;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ზურაბ ენუქიძე;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **დავით ზეგიაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** იურიდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი - **ელენე ფროდეული;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **გიორგი თავზერიძე;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი - **დავით ქსოვრელიშვილი;** ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - **დიმიტრი ზაქაიძე.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის მიერ სასესხო ვალდებულების აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი.

1. <u>**მოისმინეს**</u>: „თელავის მუნიციპალიტეტის მიერ სასესხო ვალდებულების აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს **დავით ბეგიაშვილს.**

მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან სასესხო ვალდებულების აღების საკითხს.

უახლოეს მომავალში თელავის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმდება ქონების გადაცემის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ფონდი შეისყიდის, განაბაჟებს და თელავის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცემს 10 სამგზავრო ავტობუსს. პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 1 082 658 ევროს. ფონდი მუნიციპალიტეტს სესხად გადასცემს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სახსრებიდან შეძენილი ტექნიკის ღირებულებას. შესაბამისად, სესხის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 917 507 ევროს და სესხის ოდენობაში არ იქნება შეტანილი პროექტის თანადაფინანსებისთვის ფონდის მიერ საქართველოს საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯები 165 151 ევროს ოდენობით, რომლის შესაბამისი ქონების ღირებულება მუნიციპალიტეტს გადაეცემა უსასყიდლოდ გრანტის სახით. სესხის ხანგრძლივობა შეადგენს 10 წელს, რომლის გადახდა მუნიციპალიტეტმა უნდა დაიწყოს 2023 წლიდან და დაფარვა მოხდეს წელიწადში ორჯერ. სესხის ძირითადი თანხის, საპროცენტო და სხვა გადასახდელების გაანგარიშება მოხდება ევროში, ხოლო სესხის დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).შესაბამისი თარიღისთვის დადგენილი საქართველო ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, მოსახლეობის მხრიდან არსებობს დიდი მოთხოვნა.

კომისიის წევრებმა კითხვები დასვეს სესხის პირობებთან და გადახდის გრაფიკთან დაკავშირებით. რაზეც ზედმიწევნით ისაუბრა მომხსენებელმა.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დ. გოგოშვილი